ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #9
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.ქუთაისი 31 იანვარი 2020 წელი

სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის №2 საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის მურად ჯიშკარიანის სახით (შემდგომში – „შემსყიდველი") და მეორე მხრივ, **ინდივიდუალური მეწარმე „თენგიზი ლოსაბერიძე" წარმოდგენილი თენგიზ ლოსაბერიძის სახით** (ს/კ 60002007321)სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი"), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი
1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სკოლისათვის მაკულატორის შეგროვებისათვის ყუთების და გასაღებების საკიდის დამზადება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.
CPV-39100000

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება
2.1 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 370 (სამასსამოცდაათი) ლარს და 00 თეთრს.
2.2 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვისა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.
მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშწორება
3.1 საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშწორება ხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.3 პირველადი ანგარიშწორება განხორციელდება საერთო ღირებუილების 40%.
3.4 საბოლოო ანგარიშწორება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლოობაში.
მუხლი 4. საქონლის მიღების ადგილი და ვადა
4.1 საქონლის მიღების ადგილია ქ.ქუთაისი გ.ტაბიძე N58
4.2 მომსახურეობის მიწოდება ხორციელდება ხელისმოწერიდან 2020 წლის 25 თებერვლის ჩათვლით.
მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები
დამკვეთი ვალდებულია:
5.1 შეუქმნას სამუშაო პირობები შემსრულებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;
5.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;
. შემსრულებელი ვალდებულია:
5.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა წარმოადგინოს მითითებულ ვადაში
5.4 დამკვეთი უფლებამოსილია:
3.1 მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

5.5 შემსრულებელი უფლებამოსილია:
მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.
მუხლი 6. პირგასამტეხლო
6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ის ოდენობით.

ხელშეკრულება ხელმოწერილია ელექტრონულად

6.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

7.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

7.3 მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

7.4 მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

8.2 ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 9. დავის გადაწყვეტა

9.1 მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 10. ფორს მაჟორი

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელისმოწერიდან და მოქმედებს 2020 წლის 30 მარტის ჩათვლით.

მუხლი 11. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის №2 საჯარო სკოლა მის. გ.ტაბიძე N58 ტელ. 0431272928 ს/კ 212850155 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,თი ბი სი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22 ა/ა GE08TB7544934020100001	ინ/მ ,,თენგიზი ლოსაბერიძე“ მის: ქ.ქუთაისი ჩეჩელაშვილი I-ლი შეს. N17 ს/კ 60002007321 ტელ:599474822 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,თი ბი სი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22 ა/ა GE57TB7360345064300011
დირექტორი მურადი ჯიშკარიანი _____ (ხელმოწერა)	**ინ/მეწარმე თენგიზ ლოსაბერიძე** Tengizi Losaberidze Digitally signed by Tengizi Losaberidze Date: 2020.01.31 10:42:28 +04'00' _____ (ხელმოწერა)

ხელშეკრულება ხელმოწერილია ელექტრონულად